

## საქართველოში აივ პრევენციის პროექტი

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული "საქართველოში აივ პრევენციის პროექტი" (GHPP) მიზანია მაღალი რისკის ჯგუფებში აივ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობაში ინფექციის გავრცელება.

პროექტს ახორციელებს RTI International და მისი სუბკონტრაქტორი ორგანიზაციები - Save the Children International და Program for Appropriate Technologies in Health (PATH). პროექტის განხორციელებაში ჩართულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროექტი, რომლის ბიუჯეტი 6 მილიონ აშშ დოლარს აღემატება, დაიწყო 2010 წლის 4 თებერვალს და დასრულდება 2014 წლის დეკემბერში. პროექტი მუშაობს ინდივიდუალურ, სათემო, სოციალურ და პოლიტიკის დონეზე, რათა შეამციროს აივ-თან ასოცირებული სტიგმა და დისკრიმინაცია საქართველოში. 2010-2011 წლებში პროექტი ხორციელდებოდა საქართველოს 6 ძირითად ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი და რუსთავი), ხოლო 2012 წლიდან პროექტი ფუნქციონირებს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში.

GHPP ახორციელებს აივ პრევენციულ ღონისძიებებს მაღალი რისკის ჯგუფებისათვის, კერძოდ, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისა და მათი პარტნიორებისთვის, ჰომოსექსუალური ქცევის მქონე მამაკაცებისთვის, კომერციული სექს-მუშაკი ქალებისთვის და მაღალი სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდებისთვის. GHPP ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მიზნობრივ ჯგუფებს სთავაზობს უფასო აივ ტესტირებისა და კონსულტირების სერვისებს საკონსულტაციო ცენტრებისა ბაზაზე და მობილური ლაბორატორიების გამოყენებით.

ახალგაზრდებზე მიმართული კომპონენტის ფარგლებში, პროექტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პარტნიორობით, წარმატებით შეძლო ცხოვრების ჯანსაღი წესის კონსოლიდირებული კურიკულუმის პილოტირება თბილისსა და თელავში. ამის შედეგად, მოხდა ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხების ინსტიტუციონალიზაცია და 2012 წლიდან სწავლება განხორციელდება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ქვეყნის მასშტაბით.

GHPP განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა მოხდეს აივ-ისა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციისათვის ეფექტური ინტერვენციების შემუშავება, მათი მართვა, განხორციელება და მონიტორინგი ქვეყანაში. პროექტი ტექნიკურ დახმარებას სთავაზობს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს და სხვა ინსტიტუტებს აივ ეპიდზედამხედველობის, მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული სისტემის გაძლიერებისათვის.

2011 წელს პროექტის ფარგლებში, საქართველოში პირველად, ჩატარდა ქვევაზე ზედამხედველობის კვლევა თბილისის სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. კვლევის შედეგად მოპოვებული იქნა სარწმუნო სტატისტიკა 14-24 წლის ახალგაზრდებში აივ/შიდსთან დაკავშირებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ.

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით, GHPP ღია კონკურსების გზით გასცემს მცირე გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში აივ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად.

GHPP აქტიურად მუშაობს ქვეყანაში აივ სტიგმის და დისკრიმინაციის შემცირების საკითხებზე. პროექტმა თბილისის წამყვანი უნივერსიტეტების მედიის სკოლებთან პარტნიორობით შეიმუშავა სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის წევრებისათვის და სტუდენტებისათვის აივ და ნარკომანიის საკითხების გაშუქების შესახებ. ტრენინგის მოდული აივ/ნარკომანიის გაშუქების საკითხებზე უკვე შესულია მომავალი ჟურნალისტების სასწავლო კურსში.

USAID-ის მიერ დაფინანსებული “SUSTAIN” პროექტთან თანამშრომლობით, საქართველოში აივ პრევენციის პროექტი ატარებს ტრენინგებს მედიცინის მუშაკებისთვის სამედიცინო დაწესებულებებში აივ-თან ასოცირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის მასშტაბების შემცირების მიზნით.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა და ფუნქციონირებს ახალგაზრდული ვებგვერდი [www.geoyouth.ge](http://www.geoyouth.ge), რომლის საშუალებითაც ახალგაზრდები და მათი მშობლები იღებენ ზუსტ და სანდო ინფორმაციას მაღალი რისკის ქცევების და მათი პრევენციის შესახებ.

2010-2011 წლებში პროექტის ფარგლებში აივ-თან ასოცირებული სტიგმის თემაზე შეიქმნა 6 საგანმანათლებლო ვიდეო კლიპი, რომლებიც გადაიცემა სახელმწიფო ტელეარხების საშუალებით. 2011 წელს, პროექტმა შექმნა მოკლემეტრაჟიანი საგანმანათლებლო ფილმი "სტიგმა", რომელშიც მოთხრობილია ისტორია აივ/შიდსით ინფიცირებული ადამიანების შესახებ. აღნიშნული ვიდეო კლიპები და ფილმი განთავსებულია პოპულარულ ვიდეო პორტალებზე [www.myvideo.ge](http://www.myvideo.ge) და [www.youtube.com](http://www.youtube.com).

**პროექტის საკონტაქტო ინფორმაცია:**

ტელ: 243 82 20

ელ-ფოსტა: [info@ghpp.org](mailto:info@ghpp.org)

მისამართი: მიცკევიჩის 27, 0194 თბილისი

Web: [www.geoyouth.ge](http://www.geoyouth.ge)